მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე

„25“ „04“ 2013 წ

შეთანხმების მონაწილეები

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106 საიდენტიფიკაციო კოდი 424066977), რექტორის, სრული პროფესორის, მერაბ ბერიძის სახით და კერძო (ზოგადი) აუდიტორი როინ თაქთაქიძე (პირადი ნომერი 47001002661; ქ. ახალციხე, 9 აპრილის 12/16 599 57 42 56 **r.taktakidze@yahoo.com**), საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში, საბაკალავრო და სამაგისტრო, აგრეთვე პროფესიული პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის, ასევე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გაანალიზებისა და განზოგადების მიზნით, დებენ წინამდებარე მემორანდუმს „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ შემდეგზე:

განავითარონ ურთიერთხელსაყრელი და გრძელვადიანი თანამშრომლობა სტუდენტის ცოდნისა და პროფესიული უნარების ათვისების დარგში, რისთვისაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის IV საფეხურის პროფესიული პროგრამის „ბუღალტერი“, საბაკალავრო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ და სამაგისტრო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას კერძო (ზოგადი) აუდიტორი როინ თაქთაქიძე (პირადი ნომერი 47001002661; ქ. ახალციხე, 9 აპრილის 12/16 599 57 42 56 **r.taktakidze@yahoo.com**)-სთან.

- მხარეთა წარმომადგენლები წინასწარ შეათანხმებენ პროფესიული პრაქტიკის განხორციელებისათვის ყველა აუცილებელი ჩასატარებელი ღონისძიების განრიგს.
- მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმით სურვილის გამოთქმამდე.
- მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი
მერაბ ბერიძე

კერძო (ზოგადი) აუდიტორი
როინ თაქთაქიძე